

## თანამშრომლობის მემორანდუმი

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლუიზა ხაჭაპურიძის სახით

და

მეორე მხრივ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ირინა ხანთაძის სახით, შემდგომში მხარეები, თანხმდებიან ითანამშრომლონ ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული პროექტის „Georgian Civil Society Sustainability Initiative (GCSSI)“ ფარგლებში.

### თანამშრომლობის საგანი

მხარეთა თანამშრომლობის საგანს წარმოადგენს არჩევითი სასწავლო კურსი, რომლის მიზანია გააცნოს ბაკალავრიატის შესაბამისი პროგრამების სტუდენტებს სამოქალაქო საზოგადოების როლი და მნიშვნელობა, მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ხელი შეუწყოს აქტიური მოქალაქის ფორმირებას. მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოხდეს კურსის შემუშავება და დანერგვა უნივერსიტეტში.

აღნიშნული არჩევითი კურსის შემუშავება და დანერგვა ხორციელდება საქართველოს ექვს უნივერსიტეტში.

## **მხარეთა პასუხისმგებლობა**

მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“ პასუხისმგებლობაა:

1. მოახდინოს კურსის შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ფორმირება;
2. შეიმუშაოს სასწავლო კურსის ზოგადი (გენერიკული) სილაბუსი;
3. უზრუნველყოს უნივერსიტეტის წარმომადგენლის მხარდაჭერა ზოგადი (გენერიკული) სილაბუსის უნივერსიტეტის მოთხოვნებისა და სპეციფიკისადმი ადაპტაციის პროცესში;
4. შეისყიდოს და თარგმნოს შესაბამისი სახელმძღვანელო, რომელიც გამოყენებულ იქნება სასწავლო კურსის მსვლელობის დროს;
5. გაუწიოს კურსის დაწყებას მარკეტინგული მხარდაჭერა სოციალური მედიისა და ნაბეჭდი საინფორმაციო მასალის გამოყენებით.

სასწავლო უნივერსიტეტის პასუხისმგებლობაა:

1. შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტი, რომელიც იქნება სამუშაო ჯგუფის წევრი და წარმოადგენს უნივერსიტეტს კურსის შექმნისა და დანერგვის პროცესში;
2. დანერგოს კურსი - შეიტანის კურსი შესაბამის სასწავლო პროგრამაში, როგორც ბაკალავრიატის საფეხურის არჩევითი საგანი, გამოაცხადოს სტუდენტების მიღება და უზრუნველყოს სასწავლო პროცესი.

## **შეთანხმების მოქმედების ვადა**

შეთანხმება ძალაში შედის ორივე მხარის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედია მხარეთა ხელმოწერის დღიდან 2020 წლის ბოლომდე.

## შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტის წესი

მხარეებს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე უფლება აქვთ შეთანხმებაში შეიტანონ ცვლილებები ან შეწყვიტონ იგი. ცვლილებები ფორმდება წერილობით. ყოველ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს შეთანხმება, რომლის თაობაზეც სამი თვით ადრე უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

### დასკვნითი დებულებები

წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

### მხარეთა ხელმოწერები:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი

მისამართი: ზუგდიდი ჯანაშიას ქ N 14


მისამართი: თბილისი 0186, ოთარ  
ჩხეიძის 5

რექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი: ლუიზა ხაჭაპურიძე

აღმასრულებელი დირექტორი: ირინა  
ხანთაძე

ხელმოწერა:

ხელმოწერა:



თარიღი:



თარიღი: